ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N52

გამარტივებული შესყიდვა

(საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10[1] მუხლის 3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე)

დაფინანსების წყარო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

თბილისი **04 იანვარი 2021 წელი**

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №4, საიდენტიფიკაციო კოდი 204578206, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, ა.ა. GE24NB0330100200165022) შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მედეა ჯანიაშვილის სახით და **შპს ჯეონეთი** (მის: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N171 , საბანკო რეკვიზიტები: სს “საქართველოს ბანკი“; ბ/კ BAGAGE22; ა/ა GE43BG0000000118402601; ს.კ. 204918321) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ქევხიშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ინტერნეტ ტელეფონით (IP) სატელეკომუნიკაციო მომსახურებები (CPV 72400000)

3. ხელშეკრულების ღირებულება და ვადა

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **3040.00 (სამი ათას ორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4 მომსახურების გაწევის ვადაა: ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.5 მომსახურების გაწევის ადგილია: თბილისში, სანაპიროს ქ. №4. პუშკინის სკვერში მდებარე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და თბილისი საერთაშორისო აეროპორტის საინფორმაციო ცენტრი.

4. მხარეთა მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს კავშირგაბმულობის მომსახურება 3 (1 სერიული (5 არხიანი): თბილისი სანაპიროს ქ. N4: 2436999; თბილისში, პუშკინის სკვერში მდებარე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი: 2158697. თბილისი, შოთა რუსთაველის საერთაშორისო აეროპორტი, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი: 2310007) სატელეფონო ნომრის მომსახურება ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხის საშუალებით.

ბ) 1 სერიული (5 არხიანი): თბილისი სანაპიროს ქ. N4: 2436999 ნომრის მიწოდება უნდა მოხდეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სატელეფონო სისტემისკენ.

გ) თბილისი სანაპიროს ქ. N4 შემსყიდველის ოფისის შიდა ნომრებიდან გასულ ზარს უნდა ენიჭებოდეს ერთი და იგივე ნომერი (არსებული მდგომარეობით 2436999)

დ) უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერა 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე;

ე) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის პირადი ტექნიკური მიმსახურების პერსონალისა და მენეჯერის გამოყოფა.

ვ) უზრუნველყოს საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირი და თბილისის ნომრებზე კავშირი მიმწოდებლის ფიქსირებულ სატელეფონო ქსელში უფასოდ;

ზ) უზრუნველყოს საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან სატელეფონო მომსახურებას წამობრივი დამრგვალებით შემსყიდველის მიერ თითოეულ ნომერზე.

თ) წარმოადგინოს ყოველთვიურად გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიშს, ბილინგის ფორმატით – Microsoft Excel ან Adobe Acrobat;

ი) მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდება მომსახურების შესახებ. ასევე, შემსყიდველის სატელეფონო ნომრებიდან განხორციელებული, მიღებული და გაცემული ინფორმაცია, რომელიც უნდა ინახებოდეს მიმწოდებლის ბაზაში;

კ) უზრუნველყოს დავალიანების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას;

ლ) უზრუნველყოს უშუალო მენეჯერის კონსულტაციას და ტექნიკური სპეციალისტების დახმარება 24-საათიან (24/7) რეჟიმში;

მ) განახორციელოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული პარამეტრებით ხარისხიანი სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა;

ნ) შემსყიდველის საერთაშორისო და მობილურ ოპერატორებთან ზარების განსახორციელებლად შესთავაზოს კოდი/ინდექსი.

ო) შემსყიდველის ნომრებზე სხვა კომპანიების დავალიანების არსებობის შემთხვევაში, ტელეფონ(ებ)ზე გამავალი და შემომავალი ზარების შეზღუდვა არ განიხილება.

პ) ტელეფონის ნომრებზე შეზღუდოს საინფორმაციო ზარები (09, 08). აღნიშნული სერვისის ჩართვა ცალკეულ ნომრებზე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

ჟ) ტელეფონის იმ ნომერზე, რომელიც განთავსებული იქნება ქ. თბილისში პუშკინის სკვერში მდებარე ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში და ქ.თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში შეზღუდოს საერთაშორისო ზარები. უზრუნველყოს მომსახურების საერთო ღირებულება ლიმიტირებულად თვეში 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.

რ) უზრუნველყოს საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ახალი ნომრების უსასყიდლოდ გამოყოფა, რომელზეც უნდა გავრცელდეს შემსყიდველისთვის შემოთავაზებული ფასები.

უ) მიაწოდოს შემსყიდველს მომსახურება დანართი №1-ის შესაბამისად.

ს) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

ტ) ხელიშეუწყოს შემსყიდველს ნსპექტირების განხორციელებისას;

უ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) ანგარიშაწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში შეზღუდოს სატელეფონო მომსახურება სატელეფონო ნომრებზე, ხოლო გადახდიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში აღადგინოს სატელეფონო მომსახურება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს სპეციალისტი იური ამბარცუმიანი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია, პერიოდულად ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადებში გამოასწოროს ხარვეზი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარვეზის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების ანგარიშის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს **საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი სალომე იმნაძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი და საინფორმაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი შოთა ბრელიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

8.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 იანვრისა. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო მოკლე ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ზარვეზიანი მომსახურების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.3 თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13 . ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 .ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

15 .ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი

გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს.

17 .მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი **სსიპ საქართველოსტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია** **მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N4** **ტელეფონი:2436999** **საბანკორეკვიზიტები: ანგ.N GE24NB0330100200165022** **სახელმწიფოხაზინა, კოდი TRESGE22** **სკ-204578206**	**მიმწოდებელი** **შპს "ჯეონეთი"** **მისამართი: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N171** **ტელეფონი: 599 244209** **საბანკო რეკვიზიტები:სს "საქართველოს ბანკი"; ბ/კ BAGAGE22; ა/ა GE43BG0000000118402601; ს.კ. 204918321**

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
მედეა ჯანიაშვილი

დირექტორი
ალექსანდრე ქევხიშვილი

Geonet LLC

Digitally signed by Geonet LLC
Date: 2021.01.12 14:49:14 +04'00'

დანართი №1

N	მომსახურების აღწერა	განზომილების ერთეული	სავარაუდო რაოდენობა	ერთეულის ფასი	მომსახურების საერთო ღირებულება
1	ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი ფიქსირებულ ტელეფონზე: 2436999 (5 არხით); 2158697;	თვე	2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით (12 თვე)	0	0
2	ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი ფიქსირებულ ტელეფონზე (დამატებითი ნომრის აღების შემთხვევაში)	თვე	2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბერის ჩათვლით (12 თვე)	0	0
	ახალი ნომრის ინსტალაციის მომსახურება	-	1	0	0
3	ადგილობრივი სატელეფონო საუბარი ქსელის შიდა ნომრებზე.	წთ	ულიმიტო	0	0
4	ადგილობრივი სატელეფონო საუბარი სხვა ქსელის შიდა ნომრებზე,	წთ	46800	0.025	1170
5	საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბარი ქსელის შიდა ნომრებზე	წთ	ულიმიტო	0	0
6	საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბარი სხვა ქსელის შიდა ნომრებზე	წთ	3000	0.025	75
7	სატელეფონო საუბარი მობილურ ოპერატორთან	წთ	30000	0.03	900
8	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტზე (ფიქსირებული ტელეფონის ნომრებზე)	წთ	300	0.15	45
9	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტზე (მობილურ ოპერატორთან)	წთ	300	0.6	180
10	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ამერიკის კონტინენტზე (აშშ. კანადა) (ფიქსირებული ტელეფონის ნომრებზე)	წთ	300	0.07	21
11	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ამერიკის კონტინენტზე (აშშ. კანადა) (მობილურ ოპერატორთან)	წთ	300	0.07	21
12	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ამერიკის კონტინენტზე (სხვა ქვეყნები, გარდა მე-9 პუნქტში მითითებული ქვეყნებისა) (ფიქსირებული ტელეფონის ნომრებზე)	წთ	200	0.07	14
13	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ამერიკის კონტინენტზე (სხვა ქვეყნები, გარდა მე-10 პუნქტში მითითებული ქვეყნებისა) (მობილურ ოპერატორთან)	წთ	200	0.07	14
14	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი დსთ-ს ქვეყნებში (ფიქსირებული ტელეფონის ნომრებზე)	წთ	300	0.15	45
15	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი დსთ-ს ქვეყნებში (მობილურ ოპერატორთან)	წთ	300	0.6	180
16	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი აზიის კონტინენტზე (ფიქსირებული ტელეფონის ნომრებზე)	წთ	200	0.15	30
17	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი აზიის კონტინენტზე (მობილურ ოპერატორთან)	წთ	200	0.6	120
18	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი აფრიკის კონტინენტზე (ფიქსირებული ტელეფონის ნომრებზე)	წთ	150	0.15	22.5
19	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი აფრიკის კონტინენტზე (მობილურ ოპერატორთან)	წთ	150	0.6	90
20	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ავსტრალიასა და ოკეანეთში (ფიქსირებული ტელეფონის ნომრებზე)	წთ	150	0.15	22.5
21	საერთაშორისო სატელეფონო საუბარი ავსტრალიასა და ოკეანეთში (მობილურ ოპერატორთან)	წთ	150	0.6	90
ჯამი დღგ-ის გათვალისწინებით:					**3040**

მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 3040 (სამი ათას ორმოცი) ლარს დღგ-ის ჩათვლით.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ **ინტერნეტ ტელეფონით (IP) სატელეკომუნიკაციო მომსახურებების (CPV 72400000)** შესყიდვის შემიზნით დადებულ 2021 წლის 04 იანვარს დადებულ №52 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - მედეა ჯანიაშვილი

ინსპექტირებისა და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი - ნუნუ მაყიშვილი